**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

15 ოქტომბერი 2026

N221173

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "ა.გ.დ.“-ის მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე

ხარვეზის დადგენის შესახებ

შპს "ა.გ.დ.”-ის მიერ (ს/ნ - 211360720, მისამართი: თბილისი, გორგასლის ქუჩა 115) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2025 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2026 წლის 30 სექტემბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს III კატეგორიის საწარმოს და III კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სუბიექტი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ “ ქვეპუნქტების შესაბამისად, ზომითი კატეგორიის განსაზღვრის ჩანართში მითითებული პერიოდებისთვის ავსებს შემდეგ ველებს: ა) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების ჯამური ღირებულება; ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „თუ სუბიექტი წარმოადგენს მშობელ საწარმოს, სუბიექტმა საკუთარი ზომითი კატეგორიის განსაზღვრის შემდგომ, დამატებით, უნდა განსაზღვროს ჯგუფის ზომითი კატეგორია, რისთვისაც მან უნდა მიუთითოს თავისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ჯგუფის მონაცემები ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად“. სუბიექტს ჯგუფის ზომითი კატეგორიის ჩანართის შესაბამისი ველები შევსებული არ აქვს ატვირთული კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამისად.

კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნის დარღვევისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა პირს არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან“.

კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას“.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და წესის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაუდგინდეს ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვროს 10 სამუშაო დღე;
2. სუბიექტის მიერ, ამ ბრძანებაში მითითებული ხარვეზის აღმოუფხვრელობა გამოიწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას;
3. ეს ბრძანება, სუბიექტისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64). ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური